83
თ-958

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნატო თხილავა

# გვიანდელი ფონტანეს პროზის პოეტიკა

10.01.06 – ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1994

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

მეცნიერ ხელმძღვანელი – ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
ნოდარ კაკაბაძე

ოფიციალური ოპონენტები – ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
დავით დაშძარაძე

ფილოლ. მეცნ. კანდიდატი
ნინო ბაძანიძე

დისერტაციის დაცვა შედგება "24" ივნის 1994 წ. "1" საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს Р 10.01. С № 10-2 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 36, კორ. 5, აუდიტორია № 48.

დისერტაციას შეიძლება გაეცნოთ თსუ ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა "23" მაის 1994 წ.

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი – რ.ა. ციხითათრიშვილი



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა</u>. გვიანდელი ფონტანეს პროზის პოეტიკა მეტნაკლებად დაუმუშავებელი თემაა. იგი მთელი სისრულით პირველად წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომშია წარმოდგენილი. კვლევის აქტუალობა გვიანდელი ფონტანეს პროზის პოეტიკის სამგვარ: ჟანრულ, ესთეტიკურ და უშუალოდ რომანის სტრუქტურის სპექტრში გაშუქებითა და იმ გარემოებით განისაზღვრება, რომ ნაშრომი ამომწურავ პასუხს მიუგებს შემდეგ შეკითხვებს:

1. თუ რამ განსაზღვრა თეოდორ ფონტანეს შემოქმედებითი პორტრეტის თავისებურება;

2. რაში ვლინდება ფონტანეს ესთეტიკური აზროვნების ინდივიდუალურობის ღირსება;

3. თუ როგორ აიგება თეოდორ ფონტანეს რომანის არქიტექტონიკა პოეტოლოგიური ნიუანსებით.

<u>სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე</u>. წინამდებარე ნაშრომი ქართულ გერმანისტიკაში გვიანდელი ფონტანეს პროზის პოეტიკის მონოგრაფიული კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს.

უწინ, არისტოტელეს " პოეტიკიდან" /ჩვ.წ.აღ.-მდე 330წ./ დაწყებული, ჰორაციუსის "Ars poetica "-სა / ჩვ.წ.აღ.-მდე მე-13 ს./ თუ სკალიგერის "Poeties libri Septum "-ის /1561/ ჩათვლით, პოეტიკა შემოქმედებითი პროცესის შესახებ ნორმატიულ სწავლებად გაიაზრებოდა. ზემოთქმულ ტენდენციას ეყრდნობოდა მ.ოპიცის "Buch von der Deutschen Poeterey" /1624/ და აგრეთვე გოტშედის თხზულებაც "Versuch einer christlichen Dichtkunst vor die Deutschen". /1797/.

შემოქმედებითი პროცესის შესახებ სახელმძღვანელო ტიპის ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ: ლესინგის "ჰამბურგის დრამატურგია" /1767-1769/ და ვაიმარელი კლასიკოსების: გოეთესა და შილერის დებატები "ეპიკური და დრამატული პოეზიის შესახებ" /1797/. იგივე ითქმის გოეთეს თხზულების შესახებაც "ბუნების მარტივი მიბაძვა, მანერა, სტილი" /1789/.

ერთი რომელიმე მწერლის იმანენტური პოეტიკის კვლევას პირველად რომანტიზმიდან მიეცა დასაბამი და ეს ძრიად მილებულ ტენდენციად იქცა.

ჩვენც ერთი რომელიმე მწერლის, კერძოდ – ფონტანეს პროზის იმანენტური პოეტიკით ვინტერესდებით. გამოკვლევის შედეგად მიღწეული კვლევის სიახლე შეიძლება შემდეგ პირითად პუნქტებად ჩამოყალიბდეს:

1. ნაშრომი პირველად და ამომწურავად აშუქებს ჟანრის პრობლემასა და რეალიზმის თავწყაროს ფონტანესთან და ამ საკითხს იმჟამინდელი ლიტერატურის ზოგადი სულისკვეთების ფონზე გამოჰკვეთს. ფონტანეს შემოქმედებითი

-1481-

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе